ი/მ ნინო ხვითარია p 01024020824

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

(დაპროექტება და ექსპერტიზა)



ქუჩა კაირო N 26-34
ს/კ **01.00.593**

ს/კ **01.02.635**

თბილისი 2021

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

სარჩევი

- სადემონტაჟო ჩიხის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები
- კალენდარული გრაფიკი
- კალენდარული გრაფიკი ეტაპების მიხედვით
- სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების წესები
- სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა
- არქიტექტურული ნახაზი
- ტოპო გეგმა
- ამონაწერები და გეგმები რეესტრიდან
- ფოტომასალა არსებული მდგომარეობით

სადემონტაჟო ჩიხის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება

ზემოთ აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობები წარმოადგენს რკინიგზის ლიანდაგს საერთო სირძით ჯამში 199.23გრძივ მეტრს. მათ შორის შპს "EHRLE CAUCASUS" ტერიტორიაზე არსებული შეადგენს 87მეტრს, ხოლო შპს "ნიქ " ტერიტორიაზე შეადგენს ორივე საკადასტრო კოდით რეგისტრირებულის ნაწილებს ჯამში 112გრძივ მეტრამდე. ამ მონაკვეთიდან ჩიხი არცერთი მიმართულებით არ გრძელდება, რაც შეგიძლიათ იხილოთ საჯარო რეესტრის მონაცემტა ბაზაში. არსებული ჩიხი არის სს“ტრანსმშენის „ ბალანსზე, რაც უხერხულობას უქმნის მესაკუთრეს მისი არ ფუნქციონირებით ერთის მხრივ და მეორე მისი გადასახადის გამო ვინაიდან ჩიხი ამორტიზირებულია, დაშლილია და უფუნქიო. სარკინიგზო ვაკისის შემადგენელი ბალასტი დამჯდარია, ლიანდაგის ხისა და რკინაბეტონის შპალებიდან ბალასტი გამოცლილია, რელსები კოროზირებული, რელსების სამაგრები კი მოპარული.

ასეთი სავალალო მდგომარეობით ორივე მესაკუთრეს ხელი ეშლება მიწის მისი სრულად ათვისებაში, მის განვითარებაში, ასევე დარჩენილი ნაწილები იწვევს ტერიტორისს დაბინძურებას.

კალენდარული გრაფიკი

№№	სამუშაოთა დასრულება	ღირებულება ათ. ლარი	თანხებზე მოთხოვნილება ათას ლარებში								
			თვეები და დღეები								
			პირველი			მეორე			მესამე		
			10	20	30	40	50	60	70	80	90
1.	მოსამზადებელი სამუშაოები	2	2								
2.	სარელსო გზის დაშლა-დემონტაჟი და ჯართის დასაწყობები	30,53		9,25			15,03			6,25	
3.	სამშენებლო ნარჩენებისა და ნაგვის გატანა	5								5,0	
4.	მთლიანი ღირებულება	37,53	11,25			15,03			11,25		
	მოთხოვნილება თანხებზე პროცენტებში	100%	30%			40%			30%		
5.	მუშის დღიური გამომუშავება 50 ლ, თვიური 50X30=1500 ლ.	კ-დღე	225			300			225		
6.	მომუშავეთა რაოდენობა	მუშა-კი	8			10			8		

კალენდარული გრაფიკის ცალკეული ეტაპები

ეტაპები	სამუშაოთა დასრულება	დღეები	კალენდარული გრაფიკი								
			თვეები და კალენდარული დღეები								
			პირველი			მეორე			მესამე		
			10	20	30	40	50	60	70	80	90
1.	საისრე მოწყობილობის დაშლა	3	3								
2.	შპალებიდან რელსების სამაგრი ქვესადებიდან სოლების ახსნა	20	20								
3.	რელსების შემაერთებელი სადებების დემონტაჟი	20		20							
4.	მობილური ამწის საშუალებით რელსების შპალებიდან ახსნა და დასაწყობება მონიშნულ მოედანზე	40				40					
5.	ხელით ან მობილური ამწით შპალების აწევა და მონიშნულ მოედანზე დასაწყობება	30							30		
6.	საბალასტო ფენის მოსწორება, ღრმულების შევსება და გამკვრივება,	20								20	

ასეთი სავალალო მდგომარეობით ხელი ეშლება სს ტრანსმშენს და შპს ნიქ-ს ტერიტორიაზე იჯარით დასაქმებული საწარმოების საქმიანობას, ვინაიდან ვერ ხდება კაიროს ქუჩის მხრიდან არსებული ავტოჭიშკრის გამოყენება, ამავე დროს გაძნელებულია უფუნქციო ჩიხის დასუფთავების სამუშაოთა ორგანიზება ლიანდაგებით დაკავებულ და მის მახლობელ ტერიტორიებზე, რომელიც ცხადია სარკინიგზო ვაკისის და ოთხი ათას კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს მოიცავს.

საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

ჩვენს მიერ შედგენილი დოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სადემონტაჟო წარმოების ორგანიზაცია” მოთხოვნილებებს სადემონტაჟო სამუშაოებზე ხანძარსაწინააღმდეგო და მათი უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. ტერიტორიის შემოკავებულია კაპიტალური ღობით.

ორივე ნაკვეთის ტერიტორია ოთხივე მხრიდან შემოკავებულია კაპიტალური ღობით, დასაშლელი რკინიგზის ჩიხი ნაკვეთების შიდა ტერიტორიაზეა განთავსებული. სამუშაოთა შესრულების პერიოდში მომუშავეთა მხრიდან საჭიროა შრომის, ელექტრო და ხანძარ-უსაფრთხოების წესების დაცვა.

აღნიშნულის გამო რკინიგზის ჩიხის მთელ სიგანეზე გრძივი მიმართულებით სამუშაოთა შესრულებისას ჩიხის ლიანდაგები ორივე მხრიდან უნდა შემოიღობოს გადასაადგილებელ ჯებირებზე გაბმული ზოლოვანი გამაფრთხილებელი ლენტებით უცხო პირთა სამუშაო ზონაში მოხვედრისა და გადაადგილების აკრძალვის მოთხოვნით.

დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყების წინ ჩიხის სარელსო გზა თავდაპირველად უნდა გამოვათავისუფლოთ საისრე მოწყობილობებიდან, შემდეგ სამუშაოები უნდა დაიყოს ხუთ ეტაპად: მუშათა ერთი რგოლი რელსებს ანთავისუფლებს შპალების ქვესადებებიდან სამაგრი სოლების ახსნით, ათი დღის ინტერვალით მას მიყვება მეორე რგოლი, რომელიც აწარმოებს რელსების ქვეშა და შემაერთებელი სადებების დემონტაჟს; ასევე ათი დღის შემდეგ შემოგვყავს მობილური ამწე და მისი საშუალებით წარმოებს რელსების აღება შპალებიდან და დასაწყობება მონიშნულ მოედანზე. ასევე შესაბამისი სამუშაო ფრონტის გათვალისწინებით მობილური ამწით ხორციელდება შპალების გადაადგილება მონიშნული მოედნისაკენ და დასაწყობება, ბოლო ეტაპია რელიეფის დონეზე საბალასტო ფენის მოსწორება ბულდოზერით, ღრმულების შევსება და გამკვრივება.

დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოების უზრუნველყოფა ელ. ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს სს ,,კალასი''-ს შიდა ქსელებიდან.

. როგორც აღინიშნა დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით.

მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა დემონტაჟის პერიოდში მის სიახლოვეს 10 მეტრის რადიუსში არ იმყოფებოდნენ ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები.

სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი და სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

დაშლა-დემონტაჟის ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით.

დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

ლითონის ელემენტების ჩაჭრისას ელექტრო აპარატებით, ხუთი მეტრის რადიუსში ფართობები უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან.

დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სადემონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი.

ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

რკინიგზის ვაკისის დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც საჭიროა მისი წინასწარ დანამვა.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი უნდა დაინამოს ან გადაეფაროს ბრეზენტი.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა

რ. მახვილაძე, დ. ბუჩუკური, ი. გოგოლაძე, დ. ჭელიშვილი, ნ. ქარქაშაძე – საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი, თბ, 2007 წ

შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე , რ. მახვილაძე – ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წ.

СНиП III-4-80* „Техника безопасности на строительстве” , М. 1988г

დასკვნითი ნაწილი

რკინიგზის ჩიხის დემონტაჟი უნდა მოხდეს მერიის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ წარმოდგენილი დოპ- ის მიხედვით.

გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოს დაცვის შესახებ კანონიც,

ვინაიდან ორივე მიწის ნაკვეთი შემოკავებული კაპიტალური ღობით ყველა მხრიდან ორივე მიწის ნაკვეთზე და სადემონტაჟო რკინიგზის ლიანდაგი განთავსებული შიდა ნაწილში არ უნდა მოხდეს უცხო პირი შიგნით მოხვედრა.

სამუშაოს შესრულების პერიოდში უნდა მოხდეს მომუშავეთა მხრიდან საჭირო შრომის, ელექტრო და ხანძარ-უსაფრთხოების წესების დაცვა.

ცალსახაა რომ უარყოფით ზეგავლენას ახდენს და უნდა მოხდეს არსებული (ამორტიზებული) ლიანდაგის ჩიხის დემონტაჟი, რაც შეიძლება მალე, რათა კიდევ დამატებითი ზიანი არ მოუტანოს გარემოს და საკუთრებაში არსებულ მიწის მესაკუთრეებს.

ლიანდაგის გეგმა



რელსების კვეთი



P65 და P50 ტიპის რელსების განივი კვეთი

განივი ჭრილი







ი/მ ნინო ხვითარია p 01024020824